განმარტებითი ბარათი

ონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

ონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტში საჭიროა მოხდეს შემდეგი ცვლილებები:

1) გაიზარდოს როგორც შემოსულობები ასევე გადასახდელები, კერძოდ:

ა. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 17 აგვისტოს 2026 წლის N1868 (ძირი 16/01/2026 წლის N102 განკ) განკარგულებით გაზრდილი იქნას 130 304 ლარით და დაიგეგმოს შემდეგი სამუშაო: ონის მუნიციპალიტეტში ტურისტულად აქტიურ ადგილებში საჩხერე ონის გზის ბოყვის მონაკვეთზე, ონი-ამბროლაურის გზის სორის მონაკვეთზე, საკაო-მაჯიეთი-ხიდეშლების გზის საკაოს მონაკვეთზე არსებულ წყაროებთან დასასვენებელი ფანჩატურების მოწყობა.

ბ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილისა და ჭარბი შემოსავლების საფუძველზე გაიზარდოს საგადასახადო შემოსავლების გეგმა, კერძოდ: ქონების გადასახადი 150 000 ლარით.

2) შემცირდეს მერიის შრომის ანაზღაურების ფონდი 50 000 ლარით; მივლინების ხარჯი 10 000 ლარით; სოფელ ცხმორში ჩანჩქერის ტერიტორიის კეთილმოწყობის წილობრივი თანხა 25 000 ლარით; სულ გაზრდილი საკუთარი შემოსავლებითა და შემცირებული ხარჯებით 235 000 ლარით გაიზარდოს:

- ონის მუნიციპალიტეტში ტურისტულად აქტიურ ადგილებში საჩხერე ონის გზის ბოყვის მონაკვეთზე, ონი-ამბროლაურის გზის სორის მონაკვეთზე, საკაო-მაჯიეთი-ხიდეშლების გზის საკაოს მონაკვეთზე არსებულ წყაროებთან დასასვენებელი ფანჩატურების მოწყობის წილობრივი თანხა 6 860 ლარით;
- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-შენახვისა და თოვლისაგან წმენდის ხარჯი 150 000 ლარით;
- გარე განათების ელ ენერგიის ხარჯი 67 140 ლარით;
- საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარჯი 11 000 ლარით;

4) გადატანილი იქნას ასევე გადატანილი იქნას ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა, ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ფსორი-ბაჯიხევის გზის რეაბილიტაცია 18 729 ლარი; საჭიდაო სკოლის სპორტსმენების და მწვრთნელების ტრანსპორტირება ქ. ბათუმში 2 000 ლარი; სოფ. ხირხონისში "მორჩხევში" წყალსადენის სათავის, რეზერვუარისა და ქსელში მოწყობის სამუშაოები 29 038 ლარი.

ონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 23 819 375 ლარი.

პროექტი შეადგინა: თ. ბროლაშვილი

შემსრულებელი: ნ. მეტრეველი